# ფულადი გზავნილის ბანკომატით განაღდების ინსტრუქცია

- მოათავსეთ პლასტიკური ბარათი ბანკომატში და დააჭირეთ „გზავნილის განაღდებას“;



- აირჩიეთ გზავნილი და შემდეგ – ღილაკი „გაგრძელება“;




- შეიყვანეთ გზავნილის კოდი, რომელიც თანხის გამომგზავნმა შეგატყობინათ;



- აირჩიეთ ქვეყანა, საიდანაც გამოგიგზავნეს თანხა, ცარიელ ველში შეიყვანეთ შესაბამისი ციფრი და დააჭირეთ „გაგრძელებას“;




- აირჩიეთ იმ პირის სახელი და გვარი, რომელმაც გამოგიგზავნათ თანხა, შეიყვანეთ შესაბამისი ციფრი და შემდეგ მიუთითეთ „გაგრძელება;



- აირჩიეთ ვალუტა, რომელშიც გამოგიგზავნეს თანხა, შეიყვანეთ შესაბამისი ციფრი და დააჭირეთ „გაგრძელებას“;




- შეიყვანეთ გზავნილის თანხა და აირჩიეთ „გაგრძელება“;



- ეკრანზე გამოჩნდება თქვენ მიერ მითითებული მონაცემები. თუ ეთანხმებით გზავნილის ანგარიშზე ჩარიცხვის პირობებს, დააჭირეთ ღილაკს „დიახ“.




- „დიახ“ ღილაკის არჩევის შემდეგ გზავნილის თანხა თქვენს ბარათზე ჩაირიცხება. ქვითრის მისაღებად დააჭირეთ ღილაკ „გაგრძელებას“.

